№ 125, ივნისს 14, პარასკევი. 1866—1885 ივნისს 14, პარასკევი. № 125.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში: გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Тифлисъ, ред. „Дроэба“

ფასი წლით 9 მ., 11 თვით 8 მ., 50კ. 10 თვით—8 მ., 9 თვ.—7 მ., 50კ. 8 თვ.—7 მ., 7 თვ.—6 მ. 6 თვ.—5 მ.. 5 თვ.—4 მ. 50 კ., 4 თვ.—4 მ., 3 თვ.—3 მ., 2 თვ.—2 მ., 1 თვ.—1 მ.

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: მეოთხე გვერდზე სტრიქონზე 8 კ., პირველზე 16 კ. სრული უკანასკნელი გვერდი 25 მანათი; პირველი 50 მ. [illegible] ნების ითვლება მათგან დაჭერილი [illegible] ლობაზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

## მიიღება ნახევარ-წლით ხელის-მოწერა გაზეთს „დროებაზე“

ივლისის პირველიდამ წლის დამლევამდე

**ფასი ხუთი მანათი**

სოფლის მასწავლებელთათვის

**ოთხი მანათი**

ვისაც დღემდე არ შემოუტანია მეორე ნახევარ-წლის ფასი, რედაქცია სთხოვს დააჩქარონ ფულის გამოგზავნა, თუ არა სურთ, რომ ივლისის 1-დამ გაზეთი მოუსპოთ.

---

### ახალი გარდასახადი კუპონებზედ

თბილისი, ივნისს 14-ს.

ბევრს ჩვენს მკითხველს არ მოეძევება ის საგანი, რომელზედაც ივლისის 1-დამ გარდასახადი დაიდო, მაგრამ ყველასათვის საყურადღებოა ეს გარდაწყვეტილება, როგორც ერთი საშუალებათაგანი ხაზინის გაძლიერებისა, თუ კი ამ ახალს გარდასახადს მოჰყვება შემცირება სხვა გარდასახადებისა, რომელნიც ტვირთად აწევთ უფრო მშრომელს ნაწილს სახემწიფოს მცხოვრებლებისას.

ახალმა პოლიტიკო-ეკონომიურმა მეცნიერებამ მტკიცედ და შეურყეველ ჭეშმარიტებად იცნო ის საფუძველი, რომ სულზედ გადასახადის დადებას დიდი ვნება მოაქვს ხალხისათვის და შეუძლებელიც არის ამ გარდასახადის დადგენის დროს სამართლიანობა დაცულ იქმნასო. მართლაც, რა საბუთია რომ, რაკი ამა და ამ სოფელში ამა და ამდენი სული სცხოვრობს, ამა და ამდენი უნდა გადაიხადოს სოფელმა და რაკი მეორე სოფელში ამის ნახევარი ხალხია, მას მხოლოდ ნახევარი შეხვდებაო, თუნდაც რომ ეს ნახევარი—ხალხი პირველი სოფლის მცხოვრებლებზედ ერთი-ათად მდიდარი იყოსო. თუ ამას იმასაც დაუმატებთ, რომ კარგა დიდი ნაწილი საზოგადოებისა სრულიად განთავისუფლებულია სულზე გარდასახადისაგან, მაშინ ადვილად წარმოსადგენია, თუ რა «სამართალიან საფუძველზედ» არის დამყარებული სულზედ გარდასახადი.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ პირველში ყოველი სახემწიფო ხარჯის გაწყრის დროს მცხოვრებლების რიცხვით ხელმძღვანელობს, რადგან ეს ანგარიში ყველა ანგარიშზე ადვილიც არის და არც დიდი ბუხჰალტერია დასჭირდება: რამდენიც სულია, იმდენი მანათი, ან თუმანი უნდა შევიდეს ხაზინაში და იქიდამ დახარჯულ იქმნას სახელმწიფოს საჭიროებაზედ.

მაგრამ რაც უფრო ვითარდება სახემწიფო, რაც უფრო მეტი ხმა გაისმის მასში სიმართლისა და ჭეშმარიტების მეძიებელი, იმდენად უფრო სახემწიფო კაცნი ცდილობენ სხვა წყაროს გამონახვას ხაზინის შესავსებად და ერთი ამ წყაროთაგანი და საუკეთესო წყაროც, როგორც თვისის რაოდენობით, ისე ნამდვილ სიმართლეზე დამყარებით, არის გარდასახადი შემოსავალზე. მაგრამ ყოველი შემოსავალი ერთნაირად ადვილი გამოსარკვევი არ არის. ძნელია აუწყა მამულის შემოსავალი მამულის პატრონს, ან ვაჭრობის შემოსავალი ვაჭარს, მაგრამ ადვილია და ძალიან ადვილიც იმის გარდაწყვეტა, ფულიანი კაცი რამდენს აიღებს თავის ფულის სარგებელს, თუ მეტადრე ეს ფული ფასიან ქაღალდებში აქვს დაბანდებული. ფასიან ქაღალდებს ზედა აქვთ თავიანთი კუპონები, ის პატარა ქაღალდის ნაჭრები, რომელნიც უნდა ყოველ ექვსს თვეში ერთხელ მოიჭრან და განაღდდენ რომელსამე ბანკში. ყოველ ბანკს, მერე, თავისი ანგარიში აქვს, თავის ბალანსი, რომელზედაც ცალკე სწერია, თუ რამდენი გასცა მან კუპონებზედ ფული. ახალის კანონის ძალით, ვისაც კი ზემოხსენებული კუპონები აქვს, უნდა აძლიოს ხუთი პროცენტი კუპონების შემოსავლისა და ეს ისეთი საგანია, რომლის გამოპარება ან დამალვა ყოვლად შეუძლებელია.

ამ გვარად, კუპონებზედ გარდასახადის დადებით სახემწიფომ შექმნა ჯერ ისეთი წყარო, რომელსაც სრულიად არ დასჭირდება ახალი დაწესებულების დადგენა, ახალი მოხელეების დაყენება და მეორეს მხრით დააწესა ისეთი გარდასახადი, რომელიც კისერზედ დააწვება მხოლოდ შეძლებულ ხალხს, იმისთანა ხალხს, რომელსაც თავის შეძლებიდამ რამოდენიმე ნაწილი გადაუდვია ფასიანი ბილეთების საყიდლად და მათზედ სარგებლის საღებად.

ახალი კანონი თანაბრად არ ავრცელებს თავის ძალას ყველა სარგებლიან ქაღალდებზედ,—ზოგნი სრულიად განთავისუფლებულნი არიან ხარჯისაგან. ეს, რასაკვირველია, გამოიწვევს შესაფერად ფასის მომატებას თავისუფალი ქაღალდებისას და ფასის დაკლებას დანარჩენებისას, ასე რომ ბევრნი ამბობენ, უკეთესი იქნებოდა ეს საშუალება ყველაფერზედ თანაბარად გავრცელებულიყო და არც ერთი ფულიანი კაცი, რომელსაც კი თავის ფული ქაღალდებში აქვს, ვერ გადარჩენილიყო ამ სამართლიანს გარდასახადსა.

---

### შინაური ქრონიკა

⊙⊙⊙ ყაჩაღი ქერიმ სწორედ სახალხო გმირად გადაიქცა. როგორც ხალხში ლაპარაკობენ, ეს ყაჩაღი თუმცა გზაზედ ბევრსა ხვდება და სოფლებშიაც თავისუფლად დაიარება, მაგრამ სიკვდილით თურმე არავის ერჩის, თუ ან ჯავრი არა სჭირს ვისიმე, ან დამალვებით არაფერს დაუშავებენ.

ამას წინად ქერიმ მისჭრობია ერთს შეძლებულს კაცს და ოცი თუმანი უთხოვნია. სახლის პატრონს უარი უთქვამს, არა მაქვსო. ამ ტყუილისათვის ქერიმს უცემია მისთვის და მი-

---

### ხმა ქუთაისიდამ

ქუთაისი შემდეგ მაისისა.—ებრაელი და თავდები.—ქარიანი ღამე.—ცეცხლი და აგენტები.—აგენტის თამასუქი.—არფიანკები.—ქუთაისის «დუმა». კიდევ ცეცხლები.

გავისტუმრეთ მაისი ერთის ვაი-ვაგლახით. დადგა «ივანობისთვე». ქუთაისი ჩადგა ადრინდელ წრეში; ესე იგი გამეფდა უწინდელი ერთგვარობა. იქნება აქა-იქ კიდევ შეხვდეთ თავადს ანუ აზნაურს, რომელიც ჯერ კიდევ არ გამგზავრებულა სოფლისაკენ და ჩამორჩენია თავის ამხანაგებს, როგორც წეროთ ჩამორჩება ხოლმე თავის გუნდს. ალბად თან წამოღებული ფულები ჯერ ვერ დაუხარჯავს და უკანვე რომ წაიღოს, ხომ სირცხვილია. ერთი სიტყვით ქუთაისში გასართობი სრულიად არაფერია.

თუმცა აქ რუსული დრამატიული დასი იყო აქამდის, მაგრამ ყველას კარგად მოგეხსენებათ, რომ ქართველი თეატრს არა სწყალობს, თუ კი მასში ჭიდაობა არ იმართება. პილაც ცირკის დირექტორი გვპირდება მოსვლას და იმის ლოდინში ლამის სული ამოგვძვრეს. საშინელი მდგომარეობაა! არ იცის კაცმა, სად და როგორ გაატაროს დრო.

მაშ რაღა დაგვრჩენია ქუთათურებს? პირალმა წოლა სკამლოგინზე და ნეტარ-ხსენებული ლუარსაბ თათქარიძესავით ჭერში ბუზების თვლა. ჩემის აზრით არც ცუდია ეს ხელობა და ამ გვარი მოხელეებიც ბევრნი არიან, ვგონებ. რა ბძანებაა? თათქარიძეები რომ შემოგვაკლდენ,—ხომ დავილუპენით. თუ იგინი არ გვასწავლიდენ დროის გატარებას, ბარე ორი მივიმიზნებდით შუბლში დამბაჩას.

—

დარწმუნებული ვარ მკითხველი გამიჯავრდება: «რაებს ჰბოდავს ეს ვიღაც არისო! რა დასაჯერია, მოგეწყინოს იმისთანა ქალაქში, სადაც მცხოვრებლები ოც-და-ხუთი ათასზე მეტია. აიჩინე ნაცნობები, იარე მათთან; ილაპარაკე აქეთური, იქითური; ლაპარაკით შენც დაიღალე, მასპინძელიც დაღალე და ორთავეს ტკბილად დაგეძინება, არც რწყილი შეგაწუხებთ და არც სხვა ამ გვარი პაწაწკინტელა მხეცებიო». ეს კარგი დაგემართოს, მაგრამ საგანი ბაასობისა? სულ თამასუქებზე, კოტრობაზე და სახლების დაწვაზე როგორ ილაპარაკოს კაცმა? თუ არ მოგწყინდათ, ამაებზე ლაპარაკი, თქვენი ნებაა. მეც არ მომწყინდება რამე რუმე მოგახსენოთ ამ საგნებზე.

თამასუქს რომ ახსენებ, უსათუოდ ებრაელი მოგაგონდება. იმისთანა თქვენს მტერს ერთს ებრაელს აქ საქმე მოუვიდა ამ მოკლე ხანში. ახიც არის მასზე: ებრაელს თუ ერთი გაულრიჭე, მოინდომებს თავზე დაგაჯდეს, თუ გინდ მეფის შვილი იყო. მაგრამ რა დროს ეს არის, გადავიდეთ თვით ფაქტზე.

ერთი არისტოკრატთაგანი, დიდგვაროვანი და დიდ-ხარისხოვანი დასდგომია ვილაც თავადს ებრაელთან ათას-ექვსასი მანათის თავდებად, ექვსის თვის ვადით. გავიდა ექვსი თვე. გადასცილდა რამოდენიმე დღეც, ებრაელი მიბძანდება თავდებთან, რომელიც პატივცემულად ღებულობს მას: შეიყვანს კაბინეთში და უჩვენებს კრესლოს, რომელშიაც ებრაელი დიდკაცურად გამოიჭიმება. თავდები კი მიბძანდება კარებთან და დაიძახებს: «ბიჭებო!» ებრაელს ფერი ეცვლება, მაგრამ თავს შეიკავებს იმ იმედით, რომ «ალბად ფულს მაძლევს და მოწმებს ისწრებსო». მაგრამ წარმოიდგინეთ მისი განცვიფრება, როდესაც კაბინეთში შემოსცვივიან ხუთი ლომივით ბიჭი აფხაზური გაწრითურთ.

უთითებია ზანდუკზედ, რომელშიაც ას-ოთხმოცი თუმანი ჰქონოდა შენახული. გაულია ზანდუკი, სწორედ ოცად-ოცი თუმანი ამოულია და წასულა; მხოლოდ უთქვამს, თუ ეს საქმე გაამხილე და გაახმიადე, მოუკლავი ვერ მომრჩებიო. ზაცარცულს, ქერიმის წასვლის უმალვე, შეუტყობინებია ეს ამბავი პოლიციისათვის და ოცი თუმნის მაგივრად, მთლად ას-ოთხმოცის წაღება დაუბრალებია. ამ გვარი სიცრუე ავად გადაუხდია მისთვის ქერიმს. არ გასულა რამდენიმე ხანი, რომ ეს ცრუ-მბეზღავი ქერიმის ხელით მკვდარი უნახავთ.

⊖⊖⊖ შორაპნის მაზრის სოფ. ჭიათურიდამ გვწერენ, რომ იქ ერთი მეფურნე თათარი გაჩენილა და რაც უნდა იმას სჩადისო; ტალახივით შავს პურს, რომელსაც არაფრის გემო არა აქვს, გირვანქას ოთხ კაპ. ჰყიდის და თუ მსყიდავმა რამე ჰკითხა სიძვირეზედ, პურს ხელიდამ გამოსტაცებს და ეტყვის: თუ გინდა ჭამე, თუ არ გინდა წადიო. მაგრამ არც სოფლის მცხოვრებელნი ჰყიდიან იაფად. ქათმის კვერცხი ორ კაპეიკად იყიდება, მწყერის ტოლა ვარია 20 კაპ. გომიჯი (ხმიადი), ანუ მჭადი ½ გირვანქიანი.—3 კაპ., ქათამი—დედალი 50 კაპ., ძმარივით ღვინო ჩაფი 1 მან. 60 კაპ., ანუ თუნგი ორი აბაზი, მაგრამ კაცს არ დაელევა, 10 კაკალი ერთ შაურად, ლობიო ბათმანი 80 კაპ. ნიორი ანუ ხახვი 3 პატარა თავი შაურად, მწვანილი ორი მისხლიანი კონა 3 კაპეიკად და სხვა ამ ნაირად; სიძვირეს ჯანი გავარდეს, თუ თავიანთი სურვილი არ არის და არ შეეხვეწე—არ მოგყიდიან.

⊖⊖⊖ Იქიდამვე გვწერენ, რომ კვირა უქმე დღეობით სოფლის კაცს მუშაობა აკრძალული აქვს წირვის გამოსვლამდისაო, მაგრამ ეხლა ამას ყურს არავინ უგდებს და დღეში 5-დან 10,000 ფუთამდის მარგანეცი შემოაქვს სოფლის კაცსო. ამათთვის კვირა, შობა-აღდგომა და სხვა დღე სულ ერთია: ნუთუ წირვა-ლოცვა ამათ-კი აწყენსო, ნუთუ მადლი არ არის კვირაში ერთს დღეს მაინც ხარმა დაისვენოსო; ეტყობა ამათი ღმერთი შავი-ქვა გამხდარა ან გაუხდიათ და ამისათვის არც უკრძალავენო.

⊖⊖⊖ ქუთაისიდამ გვატყობინებენ, რომ ამ უკანასკნელ ხანებში ბავშვებს ერთობ დაერია დიფტერიტი და ჰხოცს კიდეცაო.—სიცხემ ძალიან მოგვიჭირა ამ ბოლოს ხანს და შეძლებულნი მცხოვრებნი საზაფხულოდ ქირაობენ ახლო-მახლო სოფლებშიო.

⊖⊖⊖ Იქიდამვე გვწერენ, რომ ისე ლამე არ გაივლის ქუთაისის მცხოვრებნი გაცხარებულმა ზარის რეკამ არ გამოგვაღვიძოსო. ჩვეულებრივ მოვლენად გარდაიქცა ყოველ ღამე ცეცხლის გაჩენაო. Იმ კვირაშიაც მთელი ქუთაისი გაანათა ზექეთაზედ გაჩენილმა ცეცხლმა. ზარდიწვა Ი. ზ—ის სახლი, რომელიც — ამბობენ — 20-ათასს მანათამდე იყო დაზღვეული სახლის მოწყობილობითაო.

⊖⊖⊖ გაზეთის «Свѣтъ»-ის სიტყვით, ამ ცოტას ხანში უწმინდესი სინოდი განიხილავს ათონის Ივერიის მონასტრის საქმეს.

## ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲗᲐᲜ

Უმორჩილესად გთხოვთ, ამ მცირე ანგარიშს უბოძოთ ალაგი თქვენს პატივცემულ გაზეთის ერთს უმახლობელეს ნომერში: მაისის 12-ს გამართულს «ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» სასარგებლოდ «სალიტერატურო სალამოს» იყო სრული შემოსავალი 62—მანათი და 40 კაპ. აქედამ დაიხარჯა სახლის მოწყობაში ერთი თუმანი. სახლის განათებასა და საკითხავ სტოლის მომზადებაში 2 მ. და 40 კაპ. დანარჩენი წმინდა შემოსავალი 50 მანათი გაეგზავნა მაისის 14-ს დანიშნულებისამებრ «წერა-კითხვის საზოგადოების მმართველობას». ვსარგებლობ ამ შემთხვევით და ვუცხადებ საქვეყნოდ ჩემს უგულითადესს მადლობას იმ პირებს, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში. Ესენი არიან: კნ. ნინა ერისთვისა, Ოსანა ზელოვანის ასული, ბ. ბ. Იასონ ჩიქოვანი, Იასონ ზელოვანი, მელიტონ და Დისიონ ახვლედიანი, Ლევან ჩხოტუა, სეტო ზელოვანის ასული და Ლ. ზელოვანის ასული, რომელნიც იყვნენ მოსულნი, როგორც მსმენელნი, მაგრამ მიიღეს-კი მონაწილეობა ლეკურში Ყველა ამ პირებმა გააცოცხლეს სალამო ზოგმა თავიანთ სიმღერით, ზოგმა მშვენიერის ლეკურის თამაშობით.

Იმედი გვაქვს ზემოხსენებულნი პატივცემულნი პირნი შემდეგშიაც არ მოგვაკლებენ თავიანთ თანაგრძნობასა და დახმარებას ამ გვარ საქველმოქმედო საქმეებში.

სალამოს გამმართვის მოთავე
თავ. ქაიხოსრო გელოვანი.

## ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

ᲐᲕᲦᲐᲜᲘ. სამი კვირა, თუ ერთი თვე იქმნება მასუკან, რაც «ჩრდილოეთის საგენტომ» გვაცნობა ავღანის ემირის აბდურაჰმანის მოკვლის ამბავი. Ეს ამბავი დასაბუთებული არ იყო. მასუკან აბდურაჰმანი არავის უხსენებია. მხოლოდ გუშინ მიღებულს ერთს რუსულს გაზეთთაგანში ვკითხულობთ შემდეგს: «აბდურაჰმან-ხანი, გავიგეთ, გამოცხადებულა, და აი, როგორ. Დღემდის იწერებოდენ, რომ იგი გაემგზავრა ხორასანისაკენ, ამბობდენ, რომ მოკლესო, მაგრამ ავღანის თურქისტანში, ჰინდუკუ-შისა და ამუ-დარიის შორის, მისის, აბდურაჰმანის ბრძანებით შეგროვილა დიდ-ძალი ჯარი, რომლის უმრავლესობა დაბანაკებულია, როგორც ხმებია, სოფ. ჩარშამბეში, ჰერათის გზაზედ, სამოცდა თხუთმეტ ვერსზედ მაიმენიდამ. Ამ რიგად ავღანის თურქისტანში შეკრებილია მთელი სამხედრო ძალა ავღანის ემირისა და თვით ემირს აბდურაჰმანს უკისრნია სარდლობა ამ ჯარისა. Ამ ჯარში არის ის თხუთმეტი ზარბაზანიც, Ინდოეთის მმართებლობამ რომ მიართვა ამას წინად აბდურაჰმანს და სამი ათასი ახალი მსწრაფლ-მსროლი თოფები—ვინტოვკა.

«Თუ დავხედავთ რუკაზე, დავრწმუნდებით, რომ ეს რაზმი სწორედ რუსის ჯარის საწინააღმდეგოდ არის წამოყენებული, ემუქრება მას, ჰსურს გზა შეუკრას და მისვლა-მოსვლა მოუსპოს პენჯდესა, მარუჩაკსა და ზულფიკარში დაბანაკებულს რუსის რაზმებს, ემუქრება აგრეთვე რუსის თურქმენთა ჯარს, რომელიც ამუ-დარიისაკენ უნდა წასულიყო.

«ჩვენ, რასაკვირველია, გვესმის ავღანის ემირის გაჭირვებული მდგომარეობა; მას ერთის (Ინგლისის) მხრით ბევრის სიკეთით აიმედებენ, ფულს და საჩუქრებს უქადიან, და მეორეს (რუსეთის) მხრით-კი არათუ არაფერს ჰპირდებიან,—თუ შემთხვევა იქმნა,—საგრძნობელადაც დაამარცხებენ; და მაინც კიდე, მიუხედველად ამისა, ეს უკანასკნელი ნაბიჯი ემირისა—ჯარების შეგროვება ჩვენის სამფლობელოთა,—თურქისტანისა და ბუხარის მახლობლად უნებლიედ გვაფიქრებს ჩვენ.

«რაკი რუსის მმართებლობა—განაგრძობს გაზეთი—შეუდგა მშვიდობიანურს მოლაპარაკებას, რაკი რუსის ჯარმა დასტოვა დაპყრობილი პენჯდე, ამ დროს დიდ-ძალი ჯარის შეკრება ...

---

ებრაელი წითლდება, ყვითლდება. Დაიწყო წრიალი, მაგრამ სად გაძვრება. Თავდები დაუჯდება პირდაპირ და დინჯად ეტყვის: «რაზე მობძანებულხართ?

— მე .. მე... არაფერზე. Ისე გიახელით. მიუგებს აკანკალებული ებრაელი.

— Ისე რას ჰქვია? სტუმრად ჩემს სახლში თქვენ კვლავაც არ მობძანებულხართ. Არც ვიზიტების დრო არის ეხლა, თუ თქვენც დამეთანხმებით.

— Არა ჩემო ხემწიფევ! მაგას ვინ გაკადრებსთ? მე გიახელით... გიახელით ამა და ამ თავადის თამასუქის თაობაზე. Თქვენ თავ... თავ...დე...ბი ბძან...

— მერმე რა გნებავსთ? მე მახდევინებ ფულს? მე შევჭამე თუ? ჩამოახრჩეთ!—შეჰკივლებს ბიჭებს განრისხებული თავდები. Ტყუილად არ უთქვამსთ: «გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო!» რა გვარად გაჩნდა ებრაელი კრესლოდამ იატაკზე მუცლით განართხული, ეხლაც არ იციან მაყურებლებმა. Იგი ეხვეოდა ფორთხვით მუხლებზე თავდებს, სთხოვდა მიეტევებია კადნიერება. რაღა ბევრი გაგიგრძელოთ: ებრაელმა ტყავი შინ წამოიღო, ხოლო თამასუქზე მიაწერა: «სრულიად დაკმაყოფილებული ვარო».

—

Თამასუქებზედ ლაპარაკს თავი დავანებოთ; გადავიდეთ ისევ ცეცხლზე. Ამ ახლო ხანს საუბედუროდ ერთი ქარიანი ღამე გახლდათ Ყველამ დანამდვილებით იცის, რომ ქარიანი ღამე კვიმატიანია. საიდამ ამოიტაცებს ცეცხლს და გაუჩენს სახლს, კაცი ვერ გაუგებს. Ერთი სიტყვით ქარიან ღამეს ამ შემთხვევაში პრომეთეოსის ნიჭი აქვს. მერმე იგი უმეტეს ნაწილად დაზღვეულს სახლებს ემტერება. Ამ შესანიშნავ ღამეს ქალაქის ბაღის მახლობლად ორი ძმა ებრაელების სახლი, თუ არ ვსცდები რ—შვილებისა, დაიწვა. Ეს სახლი გვარიანი დიდი გახლდათ, კარგ ადგილზე, მაგრამ ძველი პლანისა იყო. Აი, ამიტომაც დასაჯა იგი ქარიანმა ღამემ. Ცეცხლი ორ საათზე გაჩნდა ნაშუაღამევს. Უნდა გეყურებიათ ახლად გაღვიძებული ქალების ჟივილ-კივილისათვის: ვეღარც კიბეებზე ჩამოვიდენ, რადგანაც ცეცხლით იყვნენ იგინი მოცულნი არჩიეს ბალკონზე ბაწრების გადმოკიდება და ჩამოეშვენენ კისრა-კოსრით ძირს პერანგის ამარა. საქონელი, ანუ სხვა რამე, რაც ცეცხლიდამ გამოიტაცეს, გამოალაგეს ბაღში. რამდენიმე ოჯახი ულუკმა-პუროდ დარჩა. ბოროტი ქარიანი ღამე არ იწყნარებს ამ საცოდავებს. ჭევით ამ სახლში ვაჭრობდენ მეწვრიმალეები და ღარიბი თერძები—ებრაელები. Ზევით ოჯახობით სცხოვრებდენ იგინივე. რასაკვირველია, რომ ღირსეულ შემოსავალს ეს სახლი ვერ შემოიტანდა.

Კარგი გამჭრიახობა გამოიჩინეს გადარჩენილი საქონლის შენახვის დროს. მთლად გაიტაც-გამოიტაცეს, თუ რამე გადაანარჩუნეს ცეცხლსა. Ერთს შეძლებულს ურიას ოც-და-ათ თუმნის სალირალზე მეტი უნახამს მოპარული ავეჯი. Ყველანი ამბობდენ: «ჩაიჭირეს მელაო!» მაგრამ ეს მელა მეორე დღეს არხეინად დაბძანდებოდა ქალაქის ბაღში ჯიბეებში ხელ-ჩაწყობილი. მოგახსენებენ: «ამის განთავისუფლების მიზეზი მისი სქელი ჯიბე არისო!»

—

როდესაც ცეცხლზე ბაასობ, არ შეიძლება არ მოიგონო დამზღვეველი საზოგადოება და მისი ერთ-ერთი აგენტი. Ერთი საკვირველი მოვლენა იჩენს ხოლმე აქ თავს. ხშირად აგენტს აქვს თამასუქი მიცემული სახლის პატრონისაგან, ორი კვირის წინად სახლის დაწვამდის. Ეს მოვლენა ყურადღების მისაქცევია. Აი, რა ამბავი მოხდა ამ დღეებში. Ადრე დაიწვა ერთის პირის სახლი. Პატრონი მივიდა ფულის მისაღებად აგენტთან. Ამ უკანასკნელმა ასი თუმანი დაუჭირა პატრონს თავის თამასუქის დასაკმაყოფილებლად, დანარჩენს კი აძლევდა. Პატრონმა არ მიიღო ფული და აგენტი იძულებული იყო მიეცა მისთვის ის ასი თუ-

რება ჩვენის საზღვრის მახლობლად და ამ ჯარისაგან თვალში ამოჩემება მერვისა, სარახსისა და სხვა ადგილებისა, ჩვენ უნდა მიგვაჩნდეს თავხედურ გამოწვევად (ემირისაგან) და, რასაკვირველია, ჩვენც გადაწყვეტილი პასუხი უნდა მივსცეთ ამ გამოწვევაზედ. ეჭვი არაა, რომ აბდურაჰმანი ასრულებს ამ ჟამად ინდოეთის მმართებლობის ნებას, რომელიც (ინდოეთის მმართებლობა) წაქეზდა ინგლისის სამინისტროს ცვლილების შემდეგ და ჰფიქრობს, რომ ამიერიდამ ინგლისი უფრო ენერგიულს პოლიტიკას გაჰყვება რუსეთის წინაამდეგ...

**ინგლისი.** ახალს სამინისტროს სულ ხუთი თვის ბატონობა ექმნება ხელში. ადვილი მოსალოდნელია, რომ ამ ხუთი თვის შემდეგ მეთაურობა კვლავ ლიბერალებმა (გლად სტონის მეთაურობით) იგდონ ხელში. საზოგადოდ, როგორც გაზეთები იწერებიან, ახალს სამინისტროს კმაყოფილებით არც ერთი სახელმწიფო არ შეგებებია, გარდა გერმანიისა. —დიდი სიამოვნება დაეტყო ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდ დიუფერინს ახალი სამინისტროს შედგენის გამო. ეხლა აღარ მოიფიქრებს, უეჭველია, ლორდ დიუფერინი სამსახურიდამ გამოსვლას. საამო შეიქმნა მისთვის უმეტესად ის გარემოება, რომ ინდოეთის საქმეთა მინისტრად ლორდ ჩერჩილი იქმნა დანიშნული..

Standard-ის ბერლინელ კორესპონდენტს ჰქონია გრძელი საუბარი თ-დს ბისმარკთან, რომელსაც, ეთქვას ვითომ მისთვის, რომ ახალი მეთაური ინგლისის სამინისტროისა, მარკიზ სალისბიური, ერთად-ერთი სახელმწიფო კაცია დიდს-ბრიტანიაში, რომელიც აფასებს გერმანიისა და ინგლისის შორის მკვიდრს კავშირს. რაც შეეხება რუსეთს—სთქვა თავადმა ბისმარკმა—ცხადია, მარკიზ სალისბიური ვერ გაჰყვება იმ პოლიტიკას, რომელსაც გლადსტონი მიჰყვებოდა ამ სახელმწიფოს შესახებ და ვერ მოითმენს იმ უგულწრფელობას, რომელსაც ხსენებული სახელმწიფო ხმარობდა გლადსტონთან. გერმანია და ავსტრიაც დარწმუნებულნი არიანო, რომ სალისბიური უფრო ენერგიულს წინაამდეგობას გაუწევს რუსეთის მოთხოვნილებასაო... რუსეთს—უთქვამს გერმანიის კანცლერს—უსიამოვნოდ დაურჩა მარკიზ სალისბიურის მეთაურობა ინგლისის სამინისტროში, მაგრამ ეს გარემოება თვით რუსეთის-გამო მოხდაო. ამ სახელმწიფოს რომ იმდენი ძნელი მოთხოვნილება არ წარედგინა გლადსტონისათვის, არც სამინისტროს კრიზისი მოხდებოდაო...

# ტელეგრამები

„ჩრდილოეთის სააგენტოსი“

იენისის 12-ს

**პარიჟი.** გამოცხადებულ იქმნა დეკრეტი, რომლის ძალითაც საფრანგეთის მინისტრ-რეზიდენტს თუნისისას მიეცემა ამიერიდამ ვრცელნი უფლებანი. რეზიდენტი მიიღებს წოდებას გენერალურ რეზიდენტისას და იქმნება რესპუბლიკის წარმომადგენელი; თუნისში მას დაექვემდებარებიან ხმელეთისა და ზღვის ძალის უფროსნი და ყველა დაწესებულებანი.

**რომი.** მეფემ ახალის კაბინეთის შედგენა დეპრეტისს მიანდო.

იენისის 13-ს.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო ქონებათა მინისტრი ოსტროვსკი ორის-ხნით წავიდა პეტერბურგიდამ და გამგეობა სამინისტროსი ჩააბარა თავის ამხანაგს ვეშნიაკოვს.

მეორე კანდიდატად პეტერბურგის თავის თანამდებობაზე არჩეულ იქმნა ლიამანსკი.

**ლონდონი.** გუშინ ვინძორში დედოფლის თანა-დასწრებით ფორმალურად გადაეცა ინგლისის გამგეობა კონსერვატიულს კაბინეთს. გლადსტონმა შეატყობინა პარლამენტს შინაარსი თავისი მიწერ-მოწერისა სალისბიურთან იმ დახმარების შესახებ, რომელსაც გაუწევენ ლიბერალები კონსერვატიულს კაბინეთს. რა დახმარება იქნება ეს დახმარება, გარკვევით არ არის განმარტებული; ნამდვილ და სავალდებულო დაპირებაზედ კი გლადსტონმა უარი სთქვა იმ დრომდე, ვიდრე ახალის არჩევნის შემწეობით ამორჩეულ იქმნებიან თავისუფალს ადგილებზე ახალი დეპუტატები.

**ბომბეი.** ციხე-სიმაგრეთა შენების საქმე ჰერათში სისწრაფით სწარმოებს; განმსაზღვრავი კომისია ჩქარა დაუახლოვდება ჰერათს. ემირს ეგზავნება ათი ლაკი რუპია ოქრო.

## ბირჟა

პეტერბურგი ივნისის 11.

| | |
|---|---|
| 100 მანათის კურსი სამის თვით ლონდონზე— | —$24\frac{5}{16}$ $24\frac{13}{32}$ $24\frac{5}{16}$ |
| 100 მანათის კურსი სამის თვით ჰამბურგზე— | — $206\frac{7}{8}$ 208 $207\frac{1}{4}$ |
| 100 მან. კურსი სამის თვით პარიჟზე — | — 256, $256\frac{1}{4}$ 256 |
| პოლუიმპერიალები | — 8 მ. 12 კ. გაყ. |
| ტამოჟნის კუპონები | — 8 მ. 14 კ. გაყ. |
| ვეცხლის მანათი | — 1 მ. 29 კ. გაყ. |
| ბირჟის დისკონტი— | — 6 და $6\frac{3}{4}$% |
| 5% ბილეთები სახელმწიფო ბანკისა 100 და 1000 მან. პირველი გამოცემისა — — | — 99 მ. გაყ. |
| მეორე გამოცემისა | — $97\frac{3}{4}$ მ. გაყ. |
| მესამე გამოცემისა | — $97\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| მეოთხე გამოც. — | — 97 მ. 37 კ. გაყ. |
| მეხუთე გამოც. — | — $97\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| 5% აღმოს. სესხ. 100 და 1000 მან. — | — 95 მ. 12 კ. გაყ. |
| მეორე გამოც. — | — 95 მ. გაყ. |
| მესამე გამოც. — | — $95\frac{1}{4}$ მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები I შინაგანის სესხისა | — 225 მ. გაყ. |
| 5% მომგები ბილეთები II შინაგანის სესხისა | — $202\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| ოქროს რენტა — | — $169\frac{1}{2}$ მ. გაყ. |
| თბილისის საადგილ-მამულო ბანკის გირავნობ. ფურცლები— | — — |
| ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის გირ. ფურც. | . . . . . . |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობანი

### რკინის გზა

ფოსტის მატარებელი მიდის

**თბილისიდამ ბათუმისაკენ**

8 საათზე და 35 წამ. დილით.

ბათუმიდამ თბილისში შემოდის

10 საათ. 25 წამ. ღამით.

**თბილისიდამ ბაქოსკენ**

10 საათზე 55 წამზე ღამით.

ბაქოდამ თბილისში შემოდის

8 საათ. დილით.

**თბილისიდამ სურამისაკენ**

3 საათ. 15 წამ. ნაშუადღევს.

სურამიდამ თბილისში შემოდის

8 საათზედ 24 წამ. დილით.

### მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 1 ივნისიდამ 15 ივნისამდე 1885 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა — | —1 | გირ. | 5 კ. |
| აქაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 2 კ. |

**იმავე ფქვილისა თორნეში გამომცხვარი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა — — | —1 | გ. | $2\frac{1}{2}$ |

**ჯვარის-მამის პური:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარის ლავაში | 1 | გ. | $4\frac{1}{2}$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3\frac{1}{2}$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |

**მროხის ხორცი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 8 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 7 კ. |

---

მანიც. თამასუქი კი ძმარში დასველებული შუბლზე შემოიკრა.

ამ გვარი შემთხვევა ხშირია და არ იქმნებოდა ურიგო მზრუნველ საზოგადოებებს ყურადღება მიექციათ. აგენტებს უსათუოდ კონტროლი უნდა ჰქონდეს. განა არ შეიძლებოდა ყველა საზოგადოებებს, მაგალითად, ქუთაისში კონტროლიორად ჰყოლოდათ ერთი პატიოსანი კაცი, რომლის დაუკითხავად აგენტს არ შესძლებოდა სახლის დაფასება და დაზღვევა. ეხლა ხშირად ნახავთ აგენტების სიაში ერთსა და იმავე პირს ჩვიდმეტი ჩოხა და ცამეტი ახალუხი ჰქონია. თითოეულმა საზოგადოებამ, რომ ოცოც-და-ხუთი თუმანი გამოიღოს მართლა და პატიოსან კაცს დაიქირავებენ, იოლადაც წავლენ და სარგებლობაც განუსაზღვრელი იქმნება. მთავრობა თუმცა სდევნის ამ ბოროტ მოქმედებას, მაგრამ რა უნდა ქმნას მან, როდესაც აგენტები ეშმაკობენ და ამ გვარ საქმეებს საიდუმლოდ ახდენენ.

—

იქმნება ვინმემ მითხრას: «ზემოდ რომ სიცრუე სთქვი, გასართობი და დროს-მოსაკლავი ალაგი არსად არისო, ვითომ რატომ არ შეიძლება ართფიანკებში კაცმა დრო გაატაროს და დასტკბეს მათი სიმღერითაო?» კარგი დაგემართოსთ, თუ მართლა ართფიანკები იყვნენ; მაგრამ სახელით მხოლოდ თავსა შველიან, ყვითელ ბილეთებს ემალებიან, თორემ დარწმუნებით შემიძლიან მოგახსენოთ, ნახევარმა იმათგანმა თავის ახალის ხელობისა არა იცის რა, არა გაეგებათ რა არც ართფისა და არც მაზედ დამღერებისა. ესენი არიან სხვა-და-სხვა საზოგადო სახლებიდამ შეგროვილნი, ზნეობა-დაცემულნი და გაფუჭებულნი არსებანი; ახალის არ მცოდნენი, ძველ ხელობას არ იშლიან. გამოჭიმულან შუაქალაქში და ერთი სასტუმრო საზოგადო სახლად გაუხდიათ. მოსვენება აღარ არის იმათ გადამკიდე. მოსვენებას ვინღა დაეძებს? ნეტავი ცუდი სენები და ავადმყოფობა არ გავრცელდებოდეს მათის წყალობით.

იმედია მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ როსკიპთა ნავთ-საყუდელს და ამოაჩენს მრავალ გვარ უწესოებას, რომელსაც ფესვები მტკიცედ გაუდგამს.

—

ორიოდ სიტყვა მინდა მოგახსენოთ ქალაქის «დუმაზედაც» რომელსაც ეხლა «ლოლოვა» არა ჰყავს. იმის აქ უმყოფლობაში დუმას დაუდგენია შემდეგი გადაწყვეტილება: «საყანთროზე ვინც რა უნდა მოიტანოს ანუ მოიყვანოს გასასყიდლად ორი კაპეიკი უნდა გადაახდევინონ. მეღვინე ყოველ დღე იხდის ორ კაპეიკს თითო ტიკზე. ამ თანამდებობის აღმსრულებლად ერთი ჩინოვნიკიც დაუჭერიათ; ამ ახალ გამოჩეკილს ჩინოვნიკს უშოვია სადღაც თუჯის ჯაჭვი, გადაუცვამს კისერზე და მრავალ გვარ უწესოებას ჩადის. გაკვირვებასა ვართ, რა ნება ჰქონდა ქალაქის გამგეობას ამ გვარი გადაწყვეტილების დადგენისა, როდესაც საყანთრო იჯარითა აქვს აღებული მ. გობეჩიას და იხდის ოთხი ათას შვიდას მანათს წელიწადში.

—

რა წამს დავასრულე ეს ფელტონი, განვიზრახე მისი წაკითხვა. უეცრად ატყდა ზარების საშინელი რეკა. გავვარდი გარეთ. ცეცხლია. იწვის ქუთაისის ნოტარიუსის ი. გ—ის სახლი, რომელიც კარგა ძალ ფულში ყოფილა დაზღვეული...

ეს გახლდათ შაბათ ღამეს, ივნისის რვას; ივნისის ცხრასაც დაიწვა ერთი სახლი, ისიც ნაშუაღამევის ორს საათზე. ასე რომ, იმედია, ეხლა ყოველ ღამე ცეცხლი იქმნება. ან რა გასაკვირველია? «ტორგები» მოახლოვდა. ხუმრობა ხომ არ არის! ჩემის ფიქრით, ცოტა ხანს იქით რომ გამოგიგზავნოთ სია დამწვარის სახლებისა, მთელი ფელეტონის ადგილი მოუნდება მას.

რ. ალისუბნელი.

სუკი— — — —1 გ. 15 კ
ცხვრის ხორცი— —1 გ. 9 კ

ღორის ხორცი:

პირველის ხარისხისა -1 გ.
მეორისა — —1 — გ.

# განცხადებანი

გამგე კომიტეტი თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა შეუძლებელ მოწაფეთა შემწეობისათვის აცხადებს საყოველთაოდ, რომ თბილისის სათავად-აზნაურო სკოლაში მოწაფეთა მიღების ეგზამენი წელს დაიწყება 25 მარიამობისთვეს და გათავდება 1-ლ ენკენისთვეს ეგზამენი მოხდება შემდეგის პროგრამის მიხედვით:

### I განყოფილება

საღმრთო სჯული —1) მოთხრობანი: ქვეყნის და კაცის შექმნა; ადამის და ევის ცხოვრება სამოთხეში; ღვთის მცნების დარღვევა; პირველ კაცთა დასჯა; მაცხოვრის მოსვლის აღთქმა; ღვთის მშობლის დაბადება და ტაძრად მიყვანება; ხარება; ნათლის-მცემლის დაბადება; შობა ქრისტესი; მირქმა; ნათლის-ღება; ჯვარცმა; აღდგომა; ამაღლება; სულის წმინდის მოფენა.—2) ლოცვები განმარტებით: სახელითა მამისათა; წმინდაო ღმერთო; დიდება შენდა, ღმერთო; უფალო, შეგვიწყალე; მოგვმადლე, უფალო; შენ, უფალო.

ქართული ენა—გაბმული, მკაფიო კითხვა და წაკითხული მოთხრობის შინაარსის ზეპირად გარდმოცემა; წერა (მრგვალი ხელი), სახელმძღვანელო—«დედა-ენა». აქედამ მოწაფეს შესწავლული უნდა ჰქონდეს ას გვერდამდის, აგრეთვე ლექსები, სასაუბროები და სავარჯიშოები, რომელნიც ამ სახელმძღვანელოში არიან მოქცეულნი.

არითმეტიკა.—ყოველგვარი ანგარიში ერთიდამ ოცამდის, დაახლოებით იმ გვარად, როგორც ევტუშევსკის სახელმძღვანელოშია. დაწყობილი სასწავლო მასალა.

### II განყოფილება.

საღმრთო სჯული.—მოთხრობანი ძველი აღთქმიდამ: ქვეყნის შექმნა; ისტორია ადამ და ევასი და მათი შვილებისა, ნოესი, აბრაამისა, ისაკისა, იაკობისა, იოსებისა, მოსესი, ისუ ნავინისა, სამუელისა, მეფე საულისა, დავითისა, სოლომონისა; ისტორია წინასწარმეტყველთა: ილიასი, ელისესი და დანიელისა.—ლოცვები განმარტებით: ლოცვა სწავლის დაწყებისა და გათავებისა; ლოცვა სადილის წინ და სადილის შემდეგ: ყოვლად წმინდაო სამებაო; მეუფეო ზეცათაო; მამაო ჩვენო.

ქართული ენა.—ცოდნა სრულიად «დედა-ენისა» და პირველთა მოთხრობათა «საყმაწვილო კონიდგან».—გრამატიკიდგან: ხმა და ასო; უხმო და ხმოვანი ასონი; მარცვალი, წერტილის და ასომთავრულის ხმარება; გარჩევა საგანთა, თვისებათა და მოქმედებათა სახელებისა; ამ სახელებისაგან მოკლე აზრის შედგენა; გარჩევა სულიერ და უსულო საგანთა სახელებისა.

არითმეტიკა—ყოველგვარი ანგარიში 20-დგან 100-მდის; ამოცანანი, რომელთაც შეიცავს ევტუშევსკის ამოცანათა კრებული ზემოხსენებულს რიცხვებზედ.

რუსული ენა.—30 პარაგრაფი და ყველა მოთხრობანი პალანდარიშვილის წიგნიდგან; უშინსკის «როდნოე-სლოვოს» 1 ნაწილიდგან მხოლოდ ის მოთხრობანი, რომელნიც ცნობილ საგნებს შეეხებიან, შეგნებული და მკაფიო კითხვა; თარგმნა წინადადებათა ქართულ ენაზე და ქართულით რუსულ ენაზე; წერა: წიგნიდამ გადმოწერა შეუცდომლად.

თვალსაჩინო სწავლა—აღწერა და შედარება საშინაო საგნებისა და ავეჯულობისა; აგრეთვე შინაურ და გარეულ ცხოველებისა და იმ მცენარეთა, რომელთაც ყმაწვილები ხშირად ხედვენ.

### III განყოფილება.

საღმრთო სჯული.—უმთავრესი მოთხრობანი ახალის აღთქმისა იმ სივრცით, რომელიც მათთვის მამა ტურიევს მიუცია თავის საღმრთო ისტორიის სახელმძღვანელოში; წმინდა ნინოს ცხოვრება და ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში (შემოკლებით).—ლოცვები განმარტებით; ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ; ღირს არს ჭეშმარიტად; აცხოვნე, უფალო ერი შენი; ლოცვა მფარველი ანგელოზისადმი; ლოცვა ძილად მისვლისა; ლოცვა შემდეგ ძილისა; ათი მცნება; სიმბოლო სარწმუნოებისა.

ქართული ენა.—ყოველი მოთხრობანი და ლექსები «ბუნების კარიდგან» მცენარეებზედ, ფრინველებზედ და ოთხფეხებზედ; გრამატიკიდგან: დასახელება და გამოცნობა ვრცელი წინადადების ნაწილებისა, დასახელება და გამოცნობა სიტყვის ნაწილებისა, გარჩევა სიტყვისა სათაურისა, დაბოლოებისა და ძირისა ელემენტარულად; ბრუნვა სახელთა, მიმოხვრა ზმნათა კითხვების შემწეობით; ხმარება წერის ნიშნებისა.

სამშობლო გეოგრაფია.—აღმოსავლეთ საქართველოს მოკლე აღწერა. გეოგრაფიული საგნების მოკლე აღწერილობის გარდა მოწაფეს უნდა შეეძლოს ჩვენება რუქაზედ მდინარეებისა, ქალაქებისა, მთებისა და სხვა. სახელმძღვანელოდ შეიძლება იყოს გეოგრაფიული ნაწილი «ბუნების კარისა».

რუსული ენა—ცოდნა იმ მასალისა, რომელიც მოქცეულია უშინსკის «როდნოე სლოვო»-ში, წელი 2-რე. კითხვა მოთხრობების და ლექსებისა მკაფიოდ, გარკვევით და შეგნებით; ცოდნა საუკეთესო ლექსებისა ზეპირად; გადმოთარგმნა ქართულიდგან რუსულ ენაზედ პატარა მოთხრობებისა.—გრამატიკიდგან.—გარდა იმისა, რაც მეორე განყოფილების ქართული გრამმატიკის პროგრამაშია მოხსენებული: ხმარება ასოთა: й, і, ъ, ь, ѣ, э, и და е; საეჭვო ხმების და ასოების ხმარება; დასახელება და გამოცნობა ვრცელი წინადადების ნაწილებისა; დასახელება და გამოცნობა სიტყვის ნაწილებისა: სქესური დაბოლოებანი სახელთა და ზმნათა; ბრუნვა და მიმოხვრა პრაქტიკულად, კითხვების შემწეობით.

არითმეტიკა.—ოთხი მოქმედება რთულ სახელდებულს რიცხვებზედ ასამდის; ამოცანანი ამავე სახელდებულს რიცხვებზედ; ნუმერაცია ყოველ-გვარი რიცხვისა; ოთხი მოქმედება განყენებულ (отвлеч.) რიცხვებზედ; ამოცანანი მათზე; გამოცვლა მოქმედების ელემენტებისა და მის გამო ცვლილება მოქმედების შედეგისა; სახელმძღვანელო—«კრებული გამოცანათა» ევტუშევსკისა.

### IV განყოფილება.

საღმრთო სჯული.—ცოდნა რუსულ ენაზედ ორივე აღთქმის ისტორიისა და ლოცვებისა იმდენად, რამდენადაც პირველ სამს განყოფილებაში არის შესწავლული ქართულს ენაზედ.

ქართული ენა.—«ბუნების კარიდგან» დანარჩენი ნაწილი პირველი განყოფილებისა; მეორე გეოგრაფიული განყოფილება და უფრო საადვილო ლექსები მესამე ქრისტომატიული განყოფილებიდგან. ქართული გრამატიკიდგან: დაწვრილებითი ცოდნა სიტყვის ნაწილებისა, ბრუნვა სახელთა, მიმოხვრა ზმნებთა, რთული წინადადება, მისი ნაწილების გარჩევა, ხმარება ყოველ-გვარი შესასვენებელი ნიშნებისა.

რუსული ენა.—სახელმძღვანელო უშინსკის «დეტსკი მირის» პირველი ნაწილი; აქედამ შესწავლულ უნდა იყოს პირველი განყოფილება და აგრეთვე ქრისტომატიული განყოფილებანი და დანარჩენითგან უადვილესი სტატიები; გარდა ამისა, საუკეთესო იგავ-არაკნი კრილოვისა. გრამატიკიდგან: ცოდნა შემოკლებით იმ მასალისა, რომელსაც იპყრობს უშინსკის «როდნოე სლოვო»-ს მესამე ნაწილი.

სამშობლო გეოგრაფია.—დასავლეთის და სამხრეთის საქართველოს მოკლე აღწერა. მოწაფენი არამც თუ უნდა უჩვენებდენ რუქაზედ ქალაქებს, მდინარეებს, მთებს და სხვა გეოგრაფიულ საგნებს, არამედ მათ უნდა შეეძლოთ დაფაზედ ზეპირად დახატვა საქართველოს ნაწილებისა.

არითმეტიკა.—ოთხი მოქმედება რთულს სახელდებულს რიცხვებზედ; ამოცანანი მათზე; გამოანგარიშება დროისა; ყველა ზომები და ამოცანანი მათზე; ელემენტარული ცნობა ნაწევრებისა. სახელმძღვანელო—ევტუშევსკის ამოცანათა კრებული.

შენიშვნა: პირველს სამს განყოფილებაში სწავლა სწარმოებს ქართულს ენაზედ, ხოლო მეოთხეში—რუსულზე.

რაც შეეხება პროგიმნაზიულ კლასებს, აქ საგნების სწავლება სწარმოებს იმ პროგრამით, რომელიც მიღებულია მმართებლობის გიმნაზიაში იმ განსხვავებით, რომ ქართული ენა და ლიტერატურა იმდენად უნდა იცოდენ, რამდენადაც რუსული ენის ცოდნა მოითხოვება ოფიციალური პროგრამით. (1—1)

---

ევროპის ბაღში



დღეს ივნისის 14-ს.

დიდი

ხელოვნურ-ოპტიური წარმოდგენა

ფიზიკოსის ვ. დერინგისა

მოძრავი დაბუნდულის სურათებით

ახალი პროგრამა

უმთავრესი სერიები:

ქვეყნის გარშემო ცურაობა ავსტრიის ფრეგატის ნავარიისა.

—

ქარიშხალი ზღვაზედ (წყალი იღელვებს)

—

ისტორიული შემთხვევანი ღვთისადმი განსვენებულის ხემწიფე იმპერატორის ალექსანდრე მე II-ს მეფობიდამ

—

წარღვნა (დორეს სურათი)

—

ლანდშაფტები და არქიტექტურები.

—

ჩინეთური ფეირების თამაშობა.

—

მრავალი სასაცილო სურათები.

—

კონცერტი დაიწყობა 7-ს საათზედ.

წარმოდგენა 9 საათზედ.

—

დაწვრილებითი ცნობანი აფიშაში იქნება. კვირას, ამ თვის 16-ს შემდეგი წარმოდგენა იქნება.

---

დაიბეჭდა სახელმძღვანელო საღმრთო სჯულის სასწავლებლად, შემოკლებული ძველი და ახალი აღთქმის ისტორია, ახსნით: ლოცვები, ათი მცნება და სიმბოლო სარწმუნოებისა.

შედგენილი მღ. ნესტორ ყუბანეიშვილისაგან. ისყიდება ტფილისში—ხარჭვაშის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში—ჭილაძეების მაღაზიაში და ოზურგეთში—წიგნის შემდგენელის ბინაზე. (3—3)